ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტი

საველე ვიზიტი ბათუმში

2018 წლის 25-26 იანვარი

ვიზიტი განხორციელდა :

1. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი
2. ბათუმის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა
3. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „იმედი“
4. საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა”, ბათუმის ფილიალი
5. შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი
6. ბათუმის რესურს ცენტრი, ორგანიზაცია „იდენტობა“.

ვიზიტის მიზანი:

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსისა და ტუბერკულოზის პროექტების მიმდინარეობის სტატუსის შეფასება, მათი განხორციელების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება.

ვიზიტის ამოცანები:

1. პროგრამის ქვე და ქვე-ქვე- კონტრაქტორებისგან ინფორმაციის შეგროვება გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელებისა და აქტივობების შესახებ;
2. გრანტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა;

მეთოდოლოგია:

- ✓ გასაუბრება გლობალური ფონდის პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან;
- ✓ გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

ყველა ამ ორგანიზაციას აქვს უშუალო კომუნიკაცია პროგრამის ბენეფიციარებთან (სექს-მუშაკი ქალები, მამაკაცები, რომლებიც ამყარებენ სქესობრივ კავშირს მამაკაცებთან (MSM) და ნარკოტიკის ინექციურ მომხმარებლები(ნიმ)).

1. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

დიმიტრი ცეცხლაძე - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ტბ განყოფილების ხელმძღვანელი

სოსო სიხარულიძე - ფტიზიატრი

ნინო ტუნაძე - ფტიზიატრი

ნარგიზა ბერიძე - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, აივ-ინფექცია/შიდსის დეპარტამენტის უფროსი

თამაზ კარანაძე - - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის დირექტორის მ/შ

კირაკოზ ზანანიანი - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი

ქეთევან წერეთელი - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი

თენგიზ ჩოგაძე - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, დამყოლობის კონსულტანტი

ირმა თავართქილაძე - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ფთიზიატრი

ირმა დავითაძე - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ფთიზიატრი

მზიური გობაძე - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ფთიზიატრი

ზაზა ბაბუნაშვილი - ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, ფთიზიატრი

ტუბერკულოზი

ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- **არასათანადო ინფრასტუქტურა** დასახელდა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად, რაც სათანადო მომსახურების მიწოდებისათვის მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე" დახმარებით გარემონტდა და აღიჭურვა ცენტრის ის ფლიგელი, რომელიც მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) სტაციონარული მკურნალობისთვისაა განკუთვნილი (სულ 10 საწოლი), ცენტრის თანამშრომლების თქმით, ეს არასაკმარისია. ცუდი ინფრასტრუქტურისა და არახელსაყრელი პირობების გამო კვლავ გამოწვევად რჩება სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი სენსიტიური პაციენტების მომსახურება. ცენტრს აქვს სურვილი თავისი სახსრებით გაარემონტოს ფლიგელის აღნიშნული მონაკვეთი (ცენტრის პირველი სართული), სადაც ლაბორატორიაც მოეწყობა. ამისათვის ცენტრი ითხოვს იმ დივიდენდების გამოყენებას, რომელიც ორგანიზაციას გააჩნია. ხელმძღვანელობის თქმით, აღნიშნული რესურსის გამოყენებაზე ნებართვის გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, რისთვისაც ითხოვა აღნიშნული საკითხის წამოწევა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე.

- **სალიცენზიო პირობები.** რეგიონში მდებარე იმ სერვის ცენტრებში, რომლებიც ორგანიზაციულად ინტეგრირებულნი არიან ზოგადი პროფილის რაიონულ საავადმყოფოებში, ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა სერვისის მიწოდების თვალსაზრისით. მაგალითად, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის მცირე ფრაგმენტი არსებობს, პრობლემურია პაციენტის სათანადოდ მომსახურება. სალიცენზიო პირობების ამოწურვის გამო ზოგიერთი ცენტრი გაუქმების საშიშროების წინაშეც დგას.

- 2017 წლის ზაფხულის პერიოდში აღინიშნა დაგვიანება ტუბერკულოზის მკურნალობაში ჩართული პაციენტებისათვის განკუთვნილი **ფინანსური წახალისების** (ინსენტივების) ცენტრისთვის დროულად ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც შემდგომ თვეებში გამოსწორდა. თუმცა აღინიშნა, რომ დეკემბრის თვის თანხა საზედახედველო კომიტეტის ვიზიტისათვის (25 იანვარი) ჯერ კიდევ იყო გადარიცხული.

- ცენტრის ხელმძღვანელობის თქმით, **წამლის მარაგებთან** დაკავშირებით არ ყოფილა შეფერხება და საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტისათვის ცენტრს ყველა მედიკამენტის კვარტლის მარაგი გააჩნდა.

- ცენტრის ხელმძღვანელობამ გამოთქვა წუხილი, ქობულეთში 1 ექიმისა და 1 მედდის შემცირების გამო. მათი თქმით, არსებული რესურსი არასაკმარისია პაციენტთა გაზრდილი მიმართვიანობასთან გასამკლავებლად. აღინიშნა, რომ გურიის რეგიონიდანაც ბათუმში ხდება სამკურნალოდ პაციენტების გადამისამართება.

- ცენტრმა გამოითქვა მზადყოფნა მკურნალობის პროცესში **უშუალო ვიდეო-მეთვალყურეობით მკურნალობის** (VOT) დანერგვასთან დაკავშირებით, რაც უფრო მეტად გაუადვილებს პაციენტებს მკურნალობის პირობების დაცვას.

HIV

შეხვედრას ესწრებოდა ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, აივ-ინფექცია/შიდსის დეპარტამენტის უფროსი ნარგიზა ბერიძე, რომელმაც გააჟღერა თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ წასული ARV მკურნალობაზე მყოფი მოქალაქეების წუხილი წამლების მარაგის გატანასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სამუშაოდ 3-3 თვის ვადით ტოვებენ ქვეყანას, პრობლემას წარმოადგენს წამლების ყოველთვიური გატანის არსებული რეჟიმი. ამისათვის ითხოვა შუამდგომლობა CCM-თან, დაიშვას გამონაკლისი რათა მათ შეძლონ სამკურნალო წამლების 3 თვის მარაგის წაღება ცენტრიდან.

2. ბათუმის ფსიქიკური ჯანრმთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

მაია კონცელიძე - ბათუმის ფსიქიკური ჯანრმთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- **არასაკმარისი ადამიანური რესურსი:** 2017 წლის ივლისიდან მეტადონის ჩანაცვლების პროგრამა უფასო გახდა ყველა მსურველისათვის. ამის კვალობაზე ბათუმის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში პაციენტთან მიმართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა. მიმდინარე წლის განმავლობაში, ბოლო 1 თვის მანძილზე, პროგრამაში 44 ადამიანი ჩაერთო და პაციენტთა საერთო რაოდენობა

276-დან 320 ადამიანამდე გაიზარდა. მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, არ გაზრდილა ცენტრში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა. ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, არსებული რესურსი არასაკმარისია პაციენტთან უხვ ნაკადთან გასამკლავებლად. ამის გამო წამლის მიღების პროცესში შეინიშნება რიგები.

- შეხვედრის დროს ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში როგორც ჩართვის, ასევე დაყოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერს წარმოადგენს **პრეპარატების სახლში გატანების საკითხი.** ლოიალური კლიენტებისათვის წამლის რამდენიმე დღის დოზის გატანების შესაძლებლობა მოხსნიდა აღნიშნულ პრობლემას. აღინიშნა, რომ სუბოქსონით ჩანაცვლებითი თერაპიის მიმწოდებელ კერძო კლინიკების მიერ ხდება პაციენტებისათვის მედიკამენტის რამდენიმე დღის დოზის გატანება.

- **პროგრამა, რომელიც ოპტიმიზებას ახდენდა მეტადონის გაცემას**, გამოსულია მწყობიდან, რაც ახანგრძლივებს მედიკამენტის გაცემის პროცესს. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ შეფერხების გამო წამლის გაცემის ხანგრძლივობა დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა.

- ცენტრში არასახარბიელო სიტუაცია **ინფრასტრუქტურის** მოწყობის მხრივაც. პრობლემურია გათბობის საკითხი. ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო დახურულია სტაციონარული დეტოქსიკაციის პროგრამა.

- ამ ეტაპზე მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში **მხოლოდ ერთი ქალია** ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში ქალების მიმართვიანობა უფრო მეტი იყო, გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი რაოდენობა ძალიან შემცირდა. მნიშვნელოვან ბარიერს წამოადგენს სტიგმა და ხშირ შემთხვევაში მამაკაცი მომხმარებლების მხრიდან ქალი მომხმარებლების მიმართ მადისკირიმინირებელი დამოკიდებულებების გამოვლენა, რაც დიდ ბარიერს ქმნის მათ მიერ პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს გამახვილდა ყურადღება ქალებისათვის ცალკე საათებში მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით, თუმცა აღინიშნა, რომ არსებული მწირი ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, რთული იქნება ამ საკითხის მოგვარება.

- ყურადღება გამახვილდა ერთი სოციალური მუშაკის დამატებაზე ცენტრის ბაზაზე, რომელიც პროგრამაში ჩართვის პროცესში მხარდაჭერას გაუწევს პაციენტებს საჭირო საბუთების მოგროვებისა თუ სხვა დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურების მოგვარებაში.

3. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ზორია წურწუმია - იმედი, გამგეობის თავმჯდომარე

მირანდა ჟღენტი - იმედი

თამარ ესებუა - იმედი, ნკტ კონსულტანტი

მაია ბუწაშვილი - ჯანმრთელობის კვლევის კავშირი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

იმედი, რომელიც აწვდის აივ-ის მეორად პრევენციულ სერვისებს ნარკოტიკის ინექციურ მომხმარებლებს ყოველთვიურად საშუალოდ ემსახურება 600-მდე პაციენტს.

- **საჭიროებები:** ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საჭიროებენ პროექტორს და საოფისე სკამებს, რომელიც გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში არაა გათვალისწინებული.

- შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა **ქალი ბენეფიციარების მიერ პრევენციული სერვისებით სარგებლობასთან** დაკავშირებით, აღინიშნა, რომ გასულ წლებში უფრო მეტი ნარკოტიკების მომხმარებელი ქალი იღებდა ცენტრის სერვისებს, რაც უკავშირდებოდა ცენტრის მიერ სპეციალიზებული ჰიგიენური საშუალებების დარიგების შესაძლებლობებს. თუმცა ამ ეტაპზე ქალი ბენეფიციარების რაოდენობა შემცირებულია, რასაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამ ტიპის სერვისების ფრაგმენტულობით ხსნის.

- **მობილურ ამბულატორიას,** რომლის საშუალებითაც ორგანიზაცია მთელი აჭარის რეგიონში ატარებს C ჰეპატიტის სკრინინგს, არ გააჩნია მისაწვდომობა Stop C ბაზაზე, რის გამოც ვერ ხდება იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებსაც უკვე აქვთ გაკეთებული სწრაფი მარტივი ტესტირება C ჰეპატიტზე.

4. თანადგომა

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

რატი ცინცაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ქეთი ჯიბლაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ზაზა ბაბუნაშვილი – თანადგომა, კონსულტანტი

რომან თურმანიძე - თანადგომა, მძღოლი

შოთა მახარაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

მედეა გუგუნავა - კონსულტანტი

იმედა სირაძე - თანადგომა

ეკატერინე ორაგველიძე - თანადგომა, სოც.მუშაკი

ილია ურუშაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

გიორგი ბოლქვაძე - თანადგომა, სოც. მუშაკი

ნათია ხარატი - თანადგომა, ბათუმის ფილიალის დირექტორი

პროგრამის ბენეფიციარები

შეხვედრა თანადგომის თანამშრომლებთან ატარებდა წარმომადგენლობით ხასიათს. მას ესწრებოდნენ თანადგომის 10 თანამშრომელზე მეტი, მათ შორის სოციალური მუშაკები და ნკტ კონსულტანტები. თანამშრომლების მიერ დაყენებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- **სამიზნეს მიღწევა:** გონიოსა და სარფის მიმართულებით ინტერვენციების გააქტიურებამ საგრძნობლად გაზარდა სექს-მუშაკების პრევენციული სერვისებით მოცვის მაჩვენებელი. გაზრდილია MSM-ის მოცვის მაჩვენებელიც, რაც ორგანიზაცია „იდენტობას“ რესურს ცენტრთან აქტიური, გამართული თანამშრომლობისა და კოორდინაციის შედეგია.

- **ბენეფიციართა საჭიროებები:** ორგანიზაციის სოციალური მუშაკების ინფორმაციზე დაყრდნობით, MSM-ბენეფიციარების გარკვეულმა რაოდენობამ გამოთქვა უკმაყოფილება ორგანიზაციის პრევენციულ პაკეტში არსებული ლუბრიკანტების მიმართ. მათი ინფორმაციით, წინა მარაგი ხარისხის მხრივ უკეთესი იყო, ამიტომ გამოითქვა სურვილი ძველი ლუბრიკანტების დაბრუნების.

- ხშირია **ქალი სექს-მუშაკების მიმართ განხორციელებული ძალადობა** მათი კლიენტების მხრიდან. იმის გამო, რომ სექსუალური მომსახურების გაწევა სტიგმატიზირებულია, ხოლო პროსტიტუცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა ქვეყანაში, სექს-მუშაკების უმრავლესობა მალავს თავის საქმიანობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი არ ითხოვენ დახმარებას, როდესაც ექმნებათ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები. იმის გამო, რომ ისინი უფრთხიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით

გათვალისწინებულ სანქციებს და ზოგადად ცდილობენ არ შეექმნათ პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან, სექს-მუშაკების უფლებების დარღვევები უპასუხოდ რჩება.

- **ბენეფიციართა ხედვა:** საზედამხედველო კომიტეტის თავჯდომარე შეხვდა პროექტის ერთ MSM ბენეფიციარს და 2 სექს-მუშაკს. სამივემ გამოხატა მადლიერების გრძნობა არსებული სერვისებით. დამატებით გამოითქვა სურვილი სველი ხელსაწმენდების არსებობასთან დაკავშირებით.

5. შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი, ბათუმის ფილიალი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

გიორგი დოხნაძე - შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

ეკატერინე ნაცვლიშვილი - შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

გალინა კოსენკოვა – შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

მარინე ჭელიძე - შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი

- ორგანზაციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ წინა წლის მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებით კვლავ ძალაში რჩება. ასევე ძალაში რჩება კონდომების მარაგის შექმნის საკითხი ორგანიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას ფრაგმენტულად მიეწოდება გარკვეული რაოდენობის კონდომები, იგი არასაკმარისია და ხშირად უხდებათ თხოვნა სხვა ორგანიზაციებიდან (მაგ. თანადგომადან).

- ორგანიზაციის თანამშრომლების თქმით, გასული წლიდან აქტიურად თანამშრომლობენ ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრთან, სადაც კვირის გარკვეულ დღეებში, მათ თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ პირისპირ შეხვდეს პაციენტებს, გაესაუბროს და საჭიროების შემთხვევაში კოორდინაცია გაუწიოს შესატყვისი მომსახურების მიწოდებას (მაგ. ფსიქოლოგის მომსახურება). აღნიშნული მიდგომა კარგად მუშაობს, რის გამოც გაიზარდა კონსულტაციების გაცემის რაოდენობა აივ-ინფიცირებული პირებისათვის.

6. იდენტობას რესურს ცენტრი

მონაწილეები

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ნათია ხარატიშვილი - იდენტობა

მარინა გორდეზიანი - იდენტობა, პროექტის მენეჯერი

სოფიკო პატარაია - იდენტობა, ბათუმის რესურს ცენტრის მენეჯერი

ქეთევან ლეჟავა - იდენტობა, ფსიქოლოგი

ვალენტინა ვორონინა - იდენტობა, ნკტ კონსულტანტი

ორგანიზაცია 2015 წლიდან ახორციელებს გლობალური ფონდის მხარდაჭერით პროექტებს რომელიც მიზნად ისახავს აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით ლგბტ თემის მობილიზებას. შეხვედრაზე შეეხო შემდეგ საკითხებს:

- ორგანიზაციის თანამშრომლების თქმით, კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო საკმაოდ რთული აღმოჩნდა **ორგანიზაციის დაკომპლექტება** ისეთი პროფესიონალებით, რომლებიც ასევე სენსიტურად არიან განწყობიანი ლგბტ თემის საკითხების მიმართ. არსებობის 2 წლის მანძილზე ბათუმის ოფისის ხელმძღვანელობა 3-ჯერ შეიცვალა, რაც ორგანიზაციისა და პროექტების მენეჯმენტის კუთხით არასასურველია.

- პრობლემა შეიქმნა შესატყვისი **ოფისის მოძიების** კუთხითაც. ხშირად მეზობლების ან თავად ოფისის მფლობელის ჰომოფობიური დამოკიდებულების გამო, იძულებულნი ხდებოდნენ დაეტოვათ ახლადნაქირავები შენობა. ორგანიზაციას რამდენჯერმე მოუწია ოფისის გამოცვლა და საბოლოოდ, არსებულ შენობაში სულ რამდენიმე თვის წინ გადმოვიდნენ. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ არსებული სივრცე და იზოლირებული ოფისი საშუალებას მისცემთ მშვიდად განაგრძონ საქმიანობა.

- ორგანიზაციის ხელმძღვანელობის თქმით, არსებობს **პრევენციული მასალების** საკმარისი მარაგი. არ გვიანდება ხელფასების გადმორიცხვა და ანგარიშგებასთან დაკავშირებითაც არანაირი პრობლემა არ ყოფილა.

- ბოლო პერიოდში რესურს ცენტრს დაემატა ერთი ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის შტატი და გარე აუთრიჩის შესაძლებლობა, რაც უფრო მეტი ბენეფიციარის მოზიდვისა და მოცვის შესაძლებლობას იძლევა.